

ინოვაციებისა და სამოქალაქო განვითარების ცენტრი - „პროგრესის სახლი“-ს საგაზეთო ჩანართი №2 - 2018 წელი

# თვითმმართველობა

## ინფორმაციები

თვითმმართველობის ძირითადი ექსპლუატიური უფლებამოსილებები

# საკრებულოსა და მერიას შორის უფლებამოსილებათა განაწილება




## საკრებულო

## უფლებამოსილება



## მერი

- ▶ ბიუჯეტის და ბიუჯეტში ცვლილებების პროექტის განხილვა და დამტკიცება;
- ▶ ბიუჯეტის შესრულების კონტროლი და ბიუჯეტის შესრულების შეფასება;
- ▶ პერიოდული ანგარიშების მოსმენა ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობასა და საბიუჯეტო თანხების განკარგვაზე



**მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტის მომზადება, განხილვა და დამტკიცება, დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილების შეტანა, ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის მოსმენა და შეფასება; საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად საბიუჯეტო სახსრების განკარგვა, სახაზინო ფინანსური ოპერაციებისა და საბანკო ტრანზაქციების წარმოება**

- ▶ ბიუჯეტის და ბიუჯეტში ცვლილებების პროექტის მომზადება და საკრებულოში დასამტკიცებლად წარდგენა;
- ▶ დამტკიცებული ბიუჯეტის შესრულება;
- ▶ საანგარიშო წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის მომზადება და საკრებულოში დასამტკიცებლად წარდგენა;
- ▶ ბიუჯეტის შესაბამისად საბიუჯეტო სახსრების განკარგვა, სახაზინო ფინანსური ოპერაციებისა და საბანკო ტრანზაქციების წარმოება

- ▶ მუნიციპალიტეტის მერის წარდგინებით მუნიციპალიტეტის ქონების მართვისა და განკარგვის წესების, აგრეთვე 50 პროცენტზე მეტი წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმოს ქონების განკარგვის წესის დადგენა;
- ▶ მერისათვის თანხმობის მიცემა მუნიციპალიტეტის მოძრავი და უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით სასყიდლით ან უსასყიდლოდ სარგებლობის უფლებით, პირობით ან უპირობოდ გაცემის შესახებ;
- ▶ მერისათვის თანხმობის მიცემა მუნიციპალიტეტის ძირითადი (განუსხვისებელი) ქონების გასხვისების შესახებ;
- ▶ მუნიციპალიტეტის მერის წარდგინებით, მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცება;
- ▶ ანგარიშების მოსმენა პრივატიზაციის პროცესის მიმდინარეობის შესახებ;
- ▶ ანგარიშის მოსმენა შესყიდვების გეგმის შესაბამისად წინა წელს განხორციელებული შესყიდვების შესახებ



**მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების მართვა და განკარგვა**



- ▶ ქონების მართვისა და განკარგვის წესების მომზადება, საკრებულოში დასამტკიცებლად წარდგენა, დამტკიცებული წესების დაცვაზე კონტროლი;
- ▶ საკრებულოსათვის წინადადებების წარდგენა მუნიციპალიტეტის ძირითადი (განუსხვისებელი) ქონების გასხვისების, მუნიციპალიტეტის მოძრავი და უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით სასყიდლით ან უსასყიდლოდ სარგებლობის უფლებით, პირობით ან უპირობოდ გაცემის შესახებ. თანხმობის მიღების შემთხვევაში მათი აღსრულება;
- ▶ მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და პრივატიზაციის გეგმის შედგენა და საკრებულოსთვის დასამტკიცებლად წარდგენა;
- ▶ ქონების პრივატიზება დამტკიცებული გეგმის შესაბამისად;
- ▶ შესყიდვების გეგმის პროექტის მომზადება და დამტკიცება; შესყიდვების გეგმის შესაბამისად წინა წელს განხორციელებული შესყიდვების შესახებ ანგარიშის წარდგენა საკრებულოსთვის არაუგვიანეს თებერვლისა



## უფლებამოსილება



▶ მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ტყისა და წყლის რესურსების მართვის წესის დადგენა;

▶ მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის ნორმატიული ფასის, მუნიციპალიტეტის ქონების საწყისი საპრივატიზებო საფასურისა და ქირის საწყისი საფასურის დადგენა;



**ადგილობრივი მნიშვნელობის ბუნებრივი რესურსების, მათ შორის, წყლისა და ტყის რესურსების და მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის რესურსების მართვა**

▶ ტყისა და წყლის რესურსების მართვის წესის პროექტის მომზადება და საკრებულოსთვის დასამტკიცებლად წარდგენა;

▶ მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის ნორმატიული ფასის, მუნიციპალიტეტის ქონების საწყისი საპრივატიზებო საფასურისა და ქირის საწყისი საფასურის დადგენის დასაბუთება, შესაბამისი პროექტების მომზადება და საკრებულოსთვის დასამტკიცებლად წარდგენა

▶ მუნიციპალიტეტის მერის წარდგინებით ადგილობრივი გადასახადებისა და მოსაკრებლების შემოღება და გაუქმება, მათი განაკვეთების დადგენა;

▶ ანგარიშის მოსმენა ადგილობრივი მოსაკრებლების ამოღების მდგომარეობის შესახებ



**ადგილობრივი გადასახადებისა და მოსაკრებლების შემოღება და გაუქმება, მათი განაკვეთების დადგენა; ადგილობრივი მოსაკრებლების ამოღება;**

▶ შესაბამისი პროექტების მომზადება და საკრებულოსთვის დასამტკიცებლად წარდგენა;

▶ ადგილობრივი მოსაკრებლების ამოღება

▶ მუნიციპალიტეტის სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვა და შესაბამის სფეროში ნორმებისა და წესების დამტკიცება; ქალაქმშენებლობითი დოკუმენტაციის, მათ შორის, მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის, განაშენიანების რეგულირების გეგმის, დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცება



**მუნიციპალიტეტის სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვა და შესაბამის სფეროში ნორმებისა და წესების განსაზღვრა; ქალაქმშენებლობითი დოკუმენტაციის, მათ შორის, მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის, განაშენიანების რეგულირების გეგმის, დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცება;**

▶ მუნიციპალური პროგრამების პროექტების მომზადება და საკრებულოსთვის დასამტკიცებლად წარდგენა. მათი აღსრულების მიზნით ტენდერების ორგანიზება, შესაბამის ორგანიზაციებთან ხელშეკრულებების დადება და კონტროლი მათ დაცვაზე



## უფლებამოსილება



- ▶ კეთილმოწყობის, ინფრასტრუქტურის განვითარების, დასუფთავების, გარე განათების და გამწვანების მუნიციპალურ პროგრამათა დამტკიცება;
- ▶ ანგარიშების მოსმენა პროგრამების შესრულების მიმდინარეობაზე



### მუნიციპალიტეტის ტერიტორიის კეთილმოწყობა და შესაბამისი საინჟინრო ინფრასტრუქტურის განვითარება;

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ქუჩების, პარკების, სკვერებისა და სხვა საჯარო ადგილების დასუფთავება, ტერიტორიის გამწვანება, გარე განათების უზრუნველყოფა

- ▶ მუნიციპალური პროგრამების პროექტების მომზადება და საკრებულოსთვის დასამტკიცებლად წარდგენა;
- ▶ მათი აღსრულების მიზნით ტენდერების ორგანიზება, შესაბამის ორგანიზაციებთან ხელშეკრულებების დადება და კონტროლი მათ დაცვაზე

- ▶ ნარჩენების შეგროვებისა და გატანის წესების დადგენა



### მყარი (საყოფაცხოვრებო) ნარჩენების შეგროვება და გატანა

- ▶ პროექტების მომზადება და საკრებულოსთვის დასამტკიცებლად წარდგენა;
- ▶ ნარჩენების შეგროვებისა და გატანის მიზნით ტენდერების ორგანიზება, შესაბამის ორგანიზაციებთან ხელშეკრულებების დადება და კონტროლი მათ დაცვაზე

- ▶ მერისათვის თანხმობის მიცემა სკოლამდელი და სკოლისგარეშე დაწესებულებების შექმნის, რეორგანიზაციისა და ლიკვიდაციის შესახებ. მათი ფუნქციონირებისათვის ადგილობრივი ბიუჯეტიდან თანხების გამოყოფა.
- ▶ ანგარიშების მოსმენა სკოლამდელი და სკოლისგარეშე აღზრდის დაწესებულებებში არსებული მდგომარეობის შესახებ



### მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული სკოლამდელი და სკოლისგარეშე აღზრდის დაწესებულებების შექმნა და მათი ფუნქციონირების უზრუნველყოფა

- ▶ სკოლამდელი და სკოლისგარეშე აღზრდის დაწესებულებების წესდების პროექტების შეთანხმება საკრებულოსთან;
- ▶ წესდების დამტკიცება;
- ▶ ზედამხედველობა მათ საქმიანობაზე და ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხების ხარჯვაზე.



## უფლებამოსილება



- ▶ ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების ნუსხის დამტკიცება;
- ▶ საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის ადგილობრივ პროგრამების განხილვა და დამტკიცება;
- ▶ ტროტუარზე სატრანსპორტო საშუალების გაჩერებისა და დგომის წესების დამტკიცება;
- ▶ იმ გზების სიის დამტკიცება, რომლებზედაც ნებადართულია სატრანსპორტო საშუალების პრაქტიკული მართვის სწავლება (სასწავლო სვლა)



**ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების მართვა და ადგილობრივი მნიშვნელობის გზებზე საგზაო მოძრაობის ორგანიზება; ავტოსატრანსპორტო საშუალებების პარკირების ადგილებით უზრუნველყოფა და დგომის/ გაჩერების წესების რეგულირება**

- ▶ ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების ნუსხის პროექტის მომზადება და საკრებულოში დასამტკიცებლად წარდგენა;
- ▶ საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის ადგილობრივ პროგრამის მომზადება და საკრებულოში დასამტკიცებლად წარდგენა;
- ▶ პარკირების წესების პროექტის მომზადება და საკრებულოში დასამტკიცებლად წარდგენა;
- ▶ გზების სიის ნუსხის მომზადება და საკრებულოში დასამტკიცებლად წარდგენა

- ▶ დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცება;
- ▶ მშენებლობის ნებართვის მოსაკრებლის შემოღება



**მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მშენებლობის ნებართვის გაცემა, მშენებლობაზე ზედამხედველობის განხორციელება**

- ▶ ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების პროექტის და მშენებლობის ნებართვის მოსაკრებლის შემოღების შესახებ წინადადებების მომზადება და საკრებულოში დასამტკიცებლად წარდგენა;
- ▶ მშენებლობის ნებართვის გაცემა ზედამხედველობა მშენებლობის პროცესზე

- ▶ გარე ვაჭრობის, გამოფენების, ბაზრებისა და ბაზრობების რეგულირების წესების დამტკიცება



**გარე ვაჭრობის, გამოფენების, ბაზრებისა და ბაზრობების რეგულირება**

- ▶ გარე ვაჭრობის, გამოფენების, ბაზრებისა და ბაზრობების რეგულირების წესების პროექტების მომზადება და საკრებულოში დასამტკიცებლად წარდგენა

წინართი მომზადდა პროექტ „თვითმმართველობის ანგარიშვალდებულების გაზრდის ხელშეწყობა“ ფარგლებში. აღნიშნული პროექტი დაფინანსებულია (National Endowment for Democracy) NED-ის მიერ.